დანართი N1

დამტკიცებულია
ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ დირექტორის
2025 წლის 11 დეკემბრის N01-4/157 ბრძანებით

ა(ა)იპ - კოლეჯი „პრესტიჟი“

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა

(2026-2032 წწ)

შინაარსი

1. შესავალი 3

2. ინსტიტუციური გარემოს მიმოხილვა..... 3

3. ა(ა)იპ - კოლეჯის „პრესტიჟი“ მისია, ხედვა, ღირებულებები..... 4

4. კოლეჯის საქმიანობის SWOT - მატრიცა ..... **Error! Bookmark not defined.**

5. კოლეჯის სტრატეგიული მიზნები..... **Error! Bookmark not defined.**

6. სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების გრაფიკი .....**Error! Bookmark not defined.**

1. შესავალი

ა(ა)იპ კოლეჯის ,,პრესტიჟი“ სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება განპირობებულია კოლეჯის პროფესიული განათლების სტრატეგიული დაგეგმვის აუცილებლობით, კოლეჯში მიმდინარე პროცესების ხელშეწყობის და დაწესებულების მთელი სისტემის ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით. სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა მნიშვნელოვანია კოლეჯის საერთო ღირებულებების, პრინციპებისა და მიზნების მისაღწევად. ის ხელს უწყობს პედაგოგიური და ადმინისტრაციული რესურსის გაერთიანებას და ერთიან შეთანხმებულ საქმიანობას.

ა(ა)იპ კოლეჯის ,,პრესტიჟი'' პროფესიული განათლების განვითარების 2026-2032 წლების სტრატეგია პასუხობს პროფესიული განათლების სისტემის ძირითად გამოწვევებს, ასახავს კოლეჯში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით გრძელვადიან ხედვას, აყალიბებს კოლეჯის - საგანმანათლებლო დაწესებულების სისტემის განვითარების მიზნებს და პრიორიტეტულ მიმართულებებს.

2. ინსტიტუციური გარემოს მიმოხილვა

ა(ა)იპ კოლეჯი ,,პრესტიჟი“ თელავის ,,დავით ციციშვილის სახელობის ხალხური რეწვის პროფესიული ლიცეუმის”, თელავის ,,სასოფლო-სამეორნეო პროფესიული სასწავლებელის” და თელავის ,,ტექნიკური კოლეჯის” საგანმანათლებლო ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია, რომელიც აღნიშნული სასწავლებლების ბაზაზე დაფუძნდა 2007 წელს თელავის პროფესიული სწავლების ცენტრად, 2011 წლიდან ჩამოყალიბდა სსიპ პროფესიულ კოლეჯად - ,,პრესტიჟი”, 2012 წლიდან ატარებდა ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის ,,პრესტიჟი” სტატუსს, რომელიც დაფუძნებულ იქნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და აგრარული უნივერსიტეტის მიერ, ხოლო 2019 წლიდან - ა(ა)იპ კოლეჯის ,,პრესტიჟი“ სახელს.

2017 წლის დეკემბრიდან კოლეჯი დაფუძნებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ და წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს. იგი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში,

ხელმძღვანელობს: საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით, საქართველოს კანონებით ,,პროფესიული განათლების შესახებ“, სხვა ნორმატიული აქტებით და საკუთარი წესდებით.

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“, კახეთის რეგიონში გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საკმაოდ კონკურენტუნარიანია კახეთში და მას გააჩნია განვითარების დიდი პოტენციალი. აღნიშნული უპირატესობა გადამწყვეტი ფაქტორია კოლეჯის შემდომი განვითარებისთვის.

კოლეჯი თანამშრომლობს შემდეგ დაწესებულებებთან: ,,განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრი“, ,,სასწავლო გეგმებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრი“, საგანმანათლებლო ინსტიტუტები, ,,საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია“, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა და სხვა სოციალური პარტნიორები.
საკუთარი ხედვის განხორციელების პროცესში კოლეჯის მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორებია: თელავის მუნიციპალიტეტის მერია, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და კერძო სექტორი, დამსაქმებელთა ფორმალური და არაფორმალური გაერთიანებები, ასევე კოლეჯის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო პარტნიორებთან და შესაბამის პროფესიულ დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობა. კერძოდ:

1. UNDP - გაეროს განვითარების პროგრამა;
2. გერმანიის რესპუბლიკის ქალაქ ბიბერახის თვითმმართველობა და პროფესიული კოლეჯი ,,KARL ARNOLD SCHULLE”;
3. ლიტვის რესპუბლიკის ქალაქ ტალსის თვითმმართველობა;
4. HEKS/EPER-ის (შვეიცარიის რექპუბლიკის) სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისის პროექტი ,,MOLI კახეთში“;
5. GIZ - გერმანიის საერთაშორისო საზოგადოება;
6. ყაზახეთის რესპუბლიკის ქ. მაგნისტაუს ტურიზმის კოლეჯი.

3. ა(ა)იპ - კოლეჯის „პრესტიჟი“ მისია, ხედვა, ღირებულებები

<u>მისია :</u>

ა(ა)იპ - კოლეჯის ,,პრესტიჟი“ მისიაა უზრუნველყოს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრისთვის ევროპულდემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი პროფესიონალი კადრების მომზადება, მრავალპროფილური პროფესიული

განათლებით, სოციალური ინკლუზიით, გენდერული თანასწორობით, ინდივიდის პიროვნული/პროფესიული განვითარებით და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობით.

ხედვა:

ა(ა)იპ კოლეჯის ”პრესტიჟი” ხედვაა, 2032 წლისთვის გახდეს კახეთის რეგიონში პროფესიული განათლების ჰაბი, რომელიც ახორციელებს მრავალფეროვან პროფესიულ პროგრამებს, ინოვაციური სასწავლო მეთოდებით და ციფრული ტრანსფორმაციით უზრუნველყოფს ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალტექნოლოგიური უნარების მქონე პროფესიონალების მომზადებას.

ღირებულებები:

✓ გუნდური მუშაობა და თანამშრომლობა;
✓ სწავლების თანაბარი ხელმისაწვდომობა და გენდერული თანასწორობა;
✓ სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტაცია;
✓ მუდმივი სწრაფვა ინოვაციისა და სრულყოფილებისაკენ.

SWOT მატრიცა

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები

• *კოლეჯის მრავალწლიანი გამოცდილება და მრავალპროფილიანობა;* • *მაღაკვალიფიციური, მოტივირებული და გამოცდილი აკადემიური და ადმინისტრაციული გუნდი;* • *კეთილმოწყობილი შენობა და გამართული ინფრასტრუქტურა;* • *ინკლუზიური სასწავლო გარემო;* • *შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული პროგრამები;* • *პროფესიულ სტუდენტებზე ორიენტირებული მიდგომა და კარგად ორგანიზებული სასწავლო პროცესი;* • *კოლეჯის ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა;* • *ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობის ხელშეწყობა;* • *პროფესიული სტუდენტების სატრანსპორტო მომსახურება;* • *ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;* • *პერსონალის დაბალი დენადობა;*	• *სტუდენტური საერთო საცხოვრებელის არქონა;* • *ციფრული პლატფორმების გაუმჯობესების საჭიროება;* • *საგანმანათლებლო პროგრამების სიმცირე;* • *არასაკმარისი PR კამპანია;* • *პოტენციური სტუდენტების ნაკლები ინფორმირებულობა.*
შესაძლებლობები	**საფრთხეები**

• *ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა;* • *საერთაშორისო და სახელმწიფო/ადგილობრივ პროექტებში მონაწილეობა;* • *აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობა;* • *სტუდენტური სერვისების გაძლიერება;* • *პროფესიული განათლების პოპულარიზაცია;* • *მზარდი მოთხოვნა პროფესიული განათლების მიღებაზე;* • *საჯარო და კერძო სექტორთან კავშირის გაძლიერება;* • *ინოვაციური ლაბორატორიის (FabLab) მოწყობა;* • *გარე სახელოსნოების აშენება/აღჭურვა;* • *გაფართოება რეგიონალურ დონეზე (იყალთოს ფილიალი)*	• *შრომის ბაზრის მოთხოვნების სწრაფი ცვლილებები;* • არასტაბილური ეკონომიკურ-სოციალური ფონი; • *დამსაქმებლების ინერტულობა;* • *ახალგაზრდების/პოტენციური სტუდენტების გადინება რეგიონიდან.*

ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ სტრატეგიული მიზნები

1. ინსტიტუციური განვითარება;
2. სტუდენტური სერვისების და მხარდამჭერი ღონისძებების განვითარება;
3. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება;
4. კოლეჯის ცნობადობისა და მიმზიდველობის გაზრდა პოტენციურ სტუდენტებსა და დამსაქმებლებში.

7 წლიანი სტრატეგიული გეგმა

სტრატეგიული ამოცანა	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი/პირები	განხორციელების ვადები							რისკები	შენიშვნა
			2026	2027	2028	2029	2030	2031	2032		
სტრატეგიული მიზანი 1. ინსტიტუციური განვითარება											
კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების არეალის გაფართოება	კოლეჯს მიერ მოპოვებულია არანაკლებ 6 ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და 6 პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ზრდასრულტა განათლების კოორდინატორი								ბიუროკრატიული ბარიერები.	
კოლეჯის ინფრასტრუქტურის განვითარება	სამუშო/სასწავლო სივრცეები, სახელოსნოები აღჭურვილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, მოწყობილია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სასწავლო სივრცეები	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ფინანსური მენეჯერი								ფინანსური რესურსის ნაკლებობა, ბიუროკრატიული ბარიერები	
ახალი პარტნიორი ორგანიზაციების მოზიდვა და თანამშრომლობის წრის გაფართოება	გაფორმებულია ხელშეკრულებები/ მემორანდუმები ახალ პარტნიორ ორგანიზაციებთან საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების და პროფესიული განათლების ხელშეწყობის/პოპულარიზაციის მიზნით	დირექტორი, პროფორიენტაციისა და კერიერის დაგეგმვის მენეჯერი.								მოტივაციის არ არსებობა კერძო სექტორის მხირდან	
კოლეჯის ფუნქციონირების ხელშემწყობი შიდასამართლებრივი აქტების განვითარება/სრულყოფა	კოლეჯის შიდასამართლებრივი აქტები შესაბამისობაშა საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და ავტორიზაციის სტანდარტებთან	იურისტი								საკანონმდებლო ცვლილებების დინამიკურობა	
კოლეჯის ადამიანური რესურსის განვითარება	ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად და ადმინისტრაციული საჭიროებიდან გამომდინარე კოლეჯს	დირექტორის მოადგილე, იურისტი								ფინანსური რესურსის არ არსებობა	

	დამატებული ჰყავს ახალი კვალიფიციური კადრები; პერსონალის განვითარების გეგმით გათვალისწინებული აქტივობების 80% განხორციელებულია; პერსონალის არანაკლევ 70% კმაყოფილია სამუშაო პირობები და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებით.										
სასწავლო პროცესის მონიტორინგის სისტემის განვითარება	განახლებული და დამტკიცებულია კითხვარები, დაკვირვების ფორმები და შეფასების რუბრიკები; გეგმის შესაბამისად ჩატარებულია სასწავლო პროცესის მონიტორინგი და გამოვლენილი ხარვეზების/შეუსაბამობების საფუძველზე გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები/ განხორციელებულია პროფესიული განვითარების აქტივობები.	დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი								დროის დეფიციტი, შეფასების რუბრიკების ბუნდოვანება	
ციფრული წარმოების ლაბორატორიის (PabLab) მოწყობა	კოლეჯის ბაზაზე მოწყობილია ციფრული წარმოების ლაბორატორია (PabLab), რომელიც აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით და ხელსაწყოებით.	დირექტორი, შესყიდვების მენეჯერი								სახელმწიფო შესყიდვებთან და ბაზრის კვლევასთან დაკავშრებული სირთულეებიდაკავშირებით	
კოლეჯის გეოგრაფიული არეალის ზრდა	სოფელ იყალთოში კოლეჯის მფლობელობაში არსებული შენობა რეაბილიტირებულია და აღნიშნულ ლოკაციაზე კოლეჯს მოპოვებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება	დირექტორი								ფინანსური რესურსის არ არსებობა	
პროფესიულ სტუდენტთა საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფა	კოლეჯის პროფესიული სტუდენტები, (რომლებიც ცხოვრობენ რეგიონში) კოლეჯის მიერ უზრუნველყოფილნი არიან საერთოსაცხოვრებლით ქ. თელავში.	დირექტორი									

სტრატეგიული მიზანი 2. სტუდენტური სერვისების და მხარდამჭერი ღონისძებების განვითარება										
კარიერული სერვისის განვითარება	სტუდენტები იღებენ კარიერულ კონსულტირებას, ინფორმაციას შესაძლო ვაკანსიების შესახებ, ეუფლებიან CV -ის წერის ტექნიკებს; სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებულია მინიმუმ 2 კარიერული ღონისძიება.	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი								
სტუდენტთა საჭიროებებსა და ინტერესებზე დაფუძნებული ექსტრაკურიკულური აქტივობების პროგრამის დანერგვა	კოლეჯში ფუნქციონირებს ახალგაზრდული კლუბი, სტუდენტებს ივითარებენ ტრანსვერსული უნარებს; სასწავლო წლის მანძილზე იმართება სხვადასხვა აქტივობები (სპორტული, შემეცნებითი, საგანმანათლებლო - სასწავლო წლის განმავლობაში მინუმუმ 6)	დირექტორის მოადგილე								
ინკლუზიური განათლების სერვისების განვითარება	ყველა სტუდენტს აქვს ექსტრაკურიკულურ ღონისძიებებში ჩართვის თანაბარი შესაძლებლობა; საჭიროებისამებრ შშმ/სსსმ სტუდენტებისთვის შექმნილია ინდივუალური გეგმები და ჩართულია ინკლუზიური განათლების სპეციალისტი/ასისტენტი; ადაპტირებულია კოლეჯის გარემო	სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი; ინკლუზიური განათლების სპეციალისტი;								
სტუდენტთა წახალისების სისტემის განვითარება	კოლეჯში დანერგილია და ფუნქციონირებს სტუდენტთა წამახალისებელი სისტემა ; 15 % -ით გაზრდილია წახალისებული სტუდენტთა რაოდენობა; გამოკითხულ სტუდენტთა 75% თვლის, რომ წახალისების სისტემა სამართლიანი და გამჭვირვალეა.	დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი								

სტუდენტებთან კომუნიკაციის და საინფორმაციო მხარდაჭერის ეფექტიანი სისტემის განვითარება	კოლეჯში დანერგილია და ფუნქციონირებს სტუდენტებთან კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებები; გამოკითხულ სტუდენტთა 75% აცხადებს , რომ დროულად და ხარისხიანად იღებს ინფორმაციას.	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი								
სტრატეგიული მიზანი 3. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება										
ხარისხის მართვის შიდა მექანიზმების სრულყოფა	ხარისხის კვლევებში, თითოეულ სამიზნე ჯგუფში ჩართულ პირთა რაოდენობა არანაკლებ 70 %-ს შეადგენს; შიდა მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციების მინიმუმ 75% შესრულებულია.	ხარისხის მართვის მენეჯერი								
სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს გაძლიერება	ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, სასწავლო პროცესითა და მომსახურებით კმაყოფილ სტუდენტთა წილი შეადგენს არანაკლებ 80%-ს.	ხარისხის მართვის მენეჯერი								
ავტორიზაციის სტანდარტების მონიტორინგი	ხუთივე სტანდარტში განხორციელებულია თვითშეფასება; არსებობს შიდა მონიტორინგის ანგარიშები და რეკომენდაციები.	ხარისხის მართვის მენეჯერი								
სტრატეგიული მიზანი 4. კოლეჯის ცნობადობისა და მიმზიდველობის გაზრდა პოტენციურ სტუდენტებსა და დამსაქმებლებში										
ციფრული პლატფორმების ინტენსიური გამოყენება	კოლეჯის მიერ ციფრულ პლატფორმებზე აქტიურობა გაზრდილია მინიმუმ 10%-ით	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი;								
საზოგადოებასთან პირდაპირი კომუნიკაციის განვითარება	კოლეჯის მიერ ორგანიზებული ღონისძებების, გასვლითი შეხვედრების რაოდენობა გაზრდილია მინიმუმ 10%-ით	დირექტორი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი;								

უწყვეტი პროფესიული განვითარების პოპულარიზაცია	კოლეჯის მიერ ყოველწლიურად გახორციელებულია სხვადასხვა მოკლევადიანი კურსები; წელიწადში ორჯერ ჩატარებულია უწყვეტი განათლების თემაზე საინფორმაციონ შეხვედრები.	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი; ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი.								